საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 250,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „ „
სამედიცინო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონ.
4 „ 1 მ. — „

№ 590 შაბათი, ოქტომბრის 6 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

ამხანაგებო და მოქალაქენო!

დღეს ჩვენ ვიწყებთ გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კვირის გატარებას.

ამბები, რომლებიც ახლა გერმანიაში ვითარდებიან, იპყრობენ მთელი მსოფლიოს ყურადღებას. იმისგან, თუ როგორ წავა ახლა გერმანიაში რევოლიუციის განვითარება და როგორი იქნება მისი შედეგი, დამოკიდებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მთელი შემდეგი ბედი.

ასეთ მომენტში გერმანიის პროლეტარიატის დახმარება შეადგენს ჩვენს გადაუდებელ ამოცანას.

მისი დამარცხება იქნება მახვილის ჩაცემა ჩვენს მონაპოვართადმი; მისი გამარჯვება—მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის დასაწყისი

ყველა დავეხმაროთ გერმანელ მუშას, რომელიც უდიდეს ბრძოლას აწარმოებს იმპერიალისტურ მტაცებლობის წინააღმდეგ.

გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტი.

დიდათ დამწუხრებულნი: სამსონ და ნინო გაჭყონელიძენი შვილებით: გიორგი და ვალიკოთი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის აგვისტოს 28 ს უეცრად გარდაცვლილ ძვირფასი და დაუვიწყარი

ფეოდოსია დავითის ასულ ი[illegible]შვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, ოქტომბრის 7-ს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დილის 11 საათზე

დავეხმაროთ გერმანიის რევოლუციას

მსოფლიო რევოლიუციის ხანძარი გერმანიასაც მოედო. ბურჟუაზიის და სოციალ-დემოკრატების კოალიციამ ქვეყანას ვერ უშველა და უკიდურეს კრიზისამდე მიიყვანა. შტრეზემან-ჰილფერდინგმა ქედი მოიხარეს პუანკარეს წინაშე და ხელი აიღეს რურში პასიურ წინააღმდეგობაზედაც. გერმანია გამარჯვებულთა მონად უნდა იქცეს დიდი ხნით. ბურჟუაზია ამას ურიგდება,—სულ ერთია უცხო ბურჟუაზიასთან ის მაინც მოახერხებს კომბინაციებს სამშობლოს ინტერესების ხარჯზედ. ასეთია ბურჟუაზიის ბუნება: მისთვის თავი და თავია გამდიდრება, მოგება. სანამ ამ მიზნისათვის მას გამოადგება სამშობლოს სიყვარული,—ისიც პატრიოტია. არა და სამშობლოც ფეხებზედ ჰკიდია.

მაგრამ სულ სხვაა მშრომელთა დამოკიდებულება სამშობლოსადმი. მუშებს და გლეხებს სამშობლო უყვართ როგორც თავიანთი საცხოვრებელი ადგილი, ისტორიული ბინა ერისა, აკვანი და ასე მათი კულტურული წარსულის და არა როგორც იარაღი, რომლის საშუალებით შეიძლება ვისიმე დამონება და ყვლეფა. ამიტომაც, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, გერმანიის პროლეტარიატს დღეს დაეკისრა არა მარტო კლასობრივი ინტერესების დაცვა, არამედ უაღრესად ეროვნული მოვალეობის შესრულება—გერმანიის განთავისუფლება გამარჯვებულ იმპერიალისტებისაგან. გერმანია გასცა, გაჰყიდა მისმა ბურჟუაზიამ, მას უღალატა აგრეთვე სოც.-დემოკრატიამ, მაგრამ გერმანიის მუშათა კლასი ვერ შეხვდებოდა ყოველივე ამას გულგრილად და აი, ისიც მიმართავს ერთად-ერთ სწორ და საიმედო საშუალებას, სოციალისტურ რევოლიუციას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება როგორც ერმა, ისე კაცობრიობამ და პიროვნებამ თავი დააღწიოს კაპიტალისტური რეჟიმის კლანჭებს, როდესაც იჩაგრება, პიროვნებათა ეროვნული ინტერესიც და მშრომელთა კლასიც.

მთელი ბლენეთი ამხედრდება გერმანიის მუშების წინააღმდეგ და მოინდომებს მის განადგურებას. მაგრამ მთელი ქვეყნის მუშები და გლეხები უნდა გაერთიანდნენ და დაეხმარონ აქტიურად გერმანიის პროლეტარიატს ამ გადამწყვეტ წუთში.

თუ გერმანიის რევოლიუცია დამარცხდა, ეს დიდი ხნით დააგვიანებს სოციალიზმის საქმეს. ეს დამარცხება რეაქციას გაამეფებს მთელ მსოფლიოში და გზას შეუკრავს საბჭოთა ფედერაციას, ამიტომ მთელი ჩვენი შეძლებით და ენერგიით დავეხმაროთ გერმანიის მუშათა კლასს. ყველამ გავიღოთ რაც შეგვიძლია.

დღიური

— ბერლინში დარწმუნებული არიან, რომ შტრეზემანს მიენდობა ბურჟუაზიული მთავრობის შედგენა.

— ბავარიაში ელიან რუპრეხტის მეფედ გამოცხადებას

— კნილინგის მაგიერ ბავარიის პრემიერად არის ფონ კარი

— კონსტანტინოპოლის ევაკუაცია დამთავრდა

— დიდი მიწის ძვრა ფორმოზაზედ

— იტალიის ფაშისტური პარტიის აღმასკომი გადადგა, მუსოლინის მოთხოვნილებით

— „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით გერმანიის კაბინეთი გადადგა.

— გერმანიის სოც.-დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის გათავდა უთანხმოება.

— ებერტმა მიიღო კაბინეთის გადადგომა

— ახალი კაბინეთის შედგენა მიენდო ისევ შტრეზემანს

— სოციალ-დემოკრატები ახალ კაბინეთში მონაწილეობას არ მიიღებენ.

— რურში საოკუპაციო მთავრობა უფრო აძლიერებს ტერორსა და დაპატიმრებას.

გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კამპანიის ჩატარების წესი

დღეიდან იწყება გერმანიის პროლეტარიატის დახმარების კამპანია უჯრედების ღია სხდომებზე წარმოებებში კეთდება მოხსენებები და სამხედრო კლუბებში ეწყობა კონცერტ-მიტინგები

ყველა წარმოებებში იმართება ხელის მოწერა დასახმარებლად და იგზავნება მოწოდებები

ყველა პროფესიონალური კავშირები აწყობენ საღამო-სეირნობას, რომლის მთელი შემოსავალი გადადის დახმარების ფონდში

განათლების კომისარიატი ერთი დღის შემოსავალს თეატრებიდან და კინოებიდან აძლევს დახმარების ფონდს.

ქალაქის აღმასკომი ახდენს 10 პროც გადარიცხვას ყველა შემოსავლიანი დაწესებულებებიდან: კარტი, ლოტო.

ორშაბათს, ოქტომბრის 8-ს, ყველა კინოები და თეატრები მუშაობენ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ

12 და 13 ოქტომბერს ეწყობა ფულის შეგროვება ყულაბებით.

კომისია წინადადებას აძლევს ამხანაგებს შემოიტანონ შემოწირულებები და გამოიწვიონ დასახმარებლად სხვა ამხანაგები

ყველა შეკრებილი თანხები გამოიგზავნოს გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ცენტრალურ კომისიაში—ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საავ.-საპრ. გან 12 დან 6 შუადღევის 3 საათამდე.

გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კომიტეტი.

ისტორიული დოკუმენტი

II. საქართველო ნაციონალიზმის მორევში.

დემოკრატიულ საქართველოს ცხოვრებაში 1920 წელი „ოქროს საუკუნედ“ ითვლება. ამ დროს მიაღწია მენშევიკების დიქტატურამ განვითარების უმაღლეს წერტილს. ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ორგანიულად დაკავშირებამ მენშევიკურ ხელისუფლებას მისცა გაძლიერების, მოღონიერების საშუალება საქართველოს სინამდვილეში. ცხოვრების გაიაფება, „დემოკრატიისადმი“ სურსათ სანოვაგის მიწოდება და ამით მთელი ბურჟუაზიულ ანტისოციალისტურ და კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკის სუსხის მიფუჩჩება მშრომელი მასსის თვალში წარმოადგენდა ჟორდანია-რამიშვილის უპირველეს მიზანს. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ამას ერთობ მოხერხებულად აღწევდენ დემოკრატიული საქართველოს მესვეურები. ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ ღონისძიებას ქართველი მუშისა და გლეხის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აღშენებლობაში ჩასათრევად. კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისის გამანადგურებელი მნიშვნელობა არხიბურჟუაზიულ საქმის განმახორციელებელ მთავრობისათვის. ამიტომ მოიწვიეს ევროპის კაპიტალისტები. მისცეს მათ ურყევი გარანტიები იმისა, რომ ბურჟუა-კონცესიონერებს არ მოელის მენშევიკურ დემოკრატიულ რესპუბლიკაში არავითარი საფრთხე დაბანდულ კაპიტალის და ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაციის სახით. მენშევიკები გულწრფელად არწმუნებდენ ტყვარჩელის კონცესიონერებს, მთელ ევროპას, მთელ მსოფლიოს, რომ დემოკრატიულ საქართველოში „წმინდა საკუთრების“ დიადი პრინციპი მთელი თავისი სიღრმე-სიგანით დაცულია და გატარებული რესპუბლიკის ცხოვრების სინამდვილეში. ევროპის კაპიტალისტური ბურჟუაზიის ნაწილი დაიძრა ჩვენი ქვეყნისაკენ. საქართველო პოლიტიკურ და ეკონომიურ კოლონიალ მდგომარეობაში მოექცა. მაგრამ ქართველი ხალხის ინტერესებს როდი აყენებდნენ მენშევიკები საკუთარ „პარტიულ არისტოკრატიის“ ინტერესებზე მაღლა. საქართველო მდიდარია ბუნებრივი ქონებით. ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაციას შეუდგნენ ინგლის-იტალიის კაპიტალისტები. მათი „მოწყალება“ შედიოდა რესპუბლიკის ხაზინაში. ამით ახერხებდა ჟორდანიის კაბინეტი ფინანსიურ კატასტროფის შორეულ მომავლისათვის მიკუთვნებას.

სამხედრო შეიარაღებული ძალა 1920 წელში დიდად გაიზარდა. მენშევიკებმა ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბერში საფუძველი ჩაუყარეს „სახალხო გვარდიას“. პირველ ხანებში მცირერიცხოვანი და უძლური გვარდია საგულისხმო და ანგარიშ გასაწევ სამხედრო ორგანიზაციის ფორმაში ჩამოყალიბდა თანდათან. გვარდიის რიგების გასაძლიერებლად მენშევიკებმა შექმნეს ხელოვნური პირობები: მიანიჭეს „სახალხო“ გვარდიელებს ათასნაირი პრივილეგიები სახელმწიფოში, უპირატესობანი საზოგადოებაში. ვინაიდან მშრომელი ხალხის ქვედა წრეებში ბოლშევიკური სული ტრიალებდა, მენშევიკები სკეპტიკურის თვალსაზრისით უყურებდნენ მასსისაგან შემდგარ ჯარს. მართლაც უნდა აღინიშნოს, რომ ჯარისკაცებში ანტიმენშევიკურ, კომუნისტურ აზრებს მძლავრად ჰქონდა ფესვები გადგმული. ამიტომ მენშევიკებმაც ხელოვნურად გამიჯნეს ჯარი და გვარდია ერთმანეთისაგან. ჯარისკაცს სანტიმენტალი გრძნობით ეპყრობოდნენ, გვარდიელს—სასოებით შეჰყურებდნენ. გვარდიაც იბრძოდა ყველა ფრონტებზე: სომხეთის, აძერბეიჯანის, ოსეთის, ლეჩხუმის, გაგრის, ბათომის და სხ. წვრილ ჯგუფებთან გამარჯვებამ, რევოლიუციონურად განწყობილ საქართველოს სხვადა სხვა კუთხეების აოხრება-აწიოკებამ ძალზე შეამჭიდროვა გვარდიის რიგები და გაასკეცა მათი ბრძოლის ენერგია,

ორი უმთავრესი მიზანი ასულდგმულებდა გვარდიის ნაწილებსა და ხელმძღვანელებს: ბოლშევიკურ მოძრაობის ლიკვიდაცია, ბრძოლა მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის კომუნისტურ რუსეთის პროლეტარიატისა და ღარიბ გლეხ-კაცობისაგან. არსებობის უკანასკნელ წუთებამდე ემსახურებოდა „საყვარელი გვარდია“ ამ მიზნების რეალიზაციას. გვარდია წარმოადგენდა მენშევიზმის შეიარაღებულ დასაყრდენ ძალას. მთავრობა უვლიდა მას, როგორც საკუთარ ძლიერების თვალის ჩინს. 1920 წ. მიწურულში მოწყობილ იქმნა „სახალხო“ გვარდიის დღესასწაული. სამი დღის განმავლობაში „ეროვნულ ზეიმს“ და ბურჟუაზიულ ჯგუფების განცხრომას არ ჰქონდა საზღვარი. ყველასათვის აშკარა იყო ის ნაციონალისტური და ანტიბოლშევიკური, ანტირუსული შხამი, რომლითაც მოშხამული იყო საქართველოს „დემოკრატია“. მენშევიკები აძლიერებდნენ ამ შხამის სწრაფმოქმედების და ნაციონალისტურ-რეაქციონურ ბაცილების ცხოველმყოფელობას ქართველი ხალხის უმრავლესობის ორგანიზმში განსაკუთრებით ამ „საშინელების“ მოლოდინით, რომლის წინაშე დააყენა მენშევიკური მთავრობა მეზობელ, მოსაზღვრე რესპუბლიკის—სომხეთის პროლეტარიატმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ჰაისტანის სინამდვ

ლეში. მენშევიკები გრძნობდნენ ბოლშევიკურ ბლოკადას, მათთვის არ წარმოადგენდა დაფარულ საიდუმლოებას ახლო მომავლის შედეგები, კომუნისტური ჯარების გამარჯვებული ბრძოლის რეზულტატები. ამიტომ საბჭოთა რუსეთისადმი შური და მტრობა უხვად ითესებოდა ქართველ ხალხში.

მეტად გაწიწმატებულ მდგომარეობაში ჩააყენა მენშევიკური საქართველო ადერბეიჯანის „მოღალატურმა" საქციელმაც. 1920 წ. აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ბაქოს პროლეტარიატის თანხმობით ადერბეიჯანის მშრომელმა მასსამ დაამხო მუსავატელების ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ადერბეიჯანის ბეგები და მოლები გაწითლდნენ, ისინი იარაღს აჟღარუნებენ ჩვენი „დემოკრატიის" საწინააღმდეგოდ, ქუდზე კაცი—აი რას გაჰკიოდნენ და წარა-მარა გაიძახოდნენ დემოკრატიულ საქართველოს ხელმძღვანელი წრეები. მაგრამ მეტად დაამშვიდა, ოპტიმიზმის მორევში ჩააფლო მენშევიკური გულუბრყვილობა რუსეთ საქართველოს შორის შეთანხმების ამბავმა. როგორც ვიცით, 1920 წ. მაისში საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დაიდვა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მენშევიკური და ბოლშევიკური სახელმწიფოები ამიერიდან ხელს იღებდნენ სამხედრო პოლიტიკაზე და მყარდებოდა „ძმური, მეგობრული" ურთიერთობა. თავისთავად ამ უმნიშვნელო აქტმა დიდი გავლენა მოახდინა ქართულ „საზოგადოებრივ" აზრზე და „უკვდავების" სული შთაბერა მენშევიკურ სახელმწიფოებრივ" წეს-წყობილებას. პატარა საქართველომ დაამარცხა დიდი, ვანდალური, იმპერიალისტური რუსეთი, ჩასჩიჩინებდნენ მშრომელ მასის ქვედა ფენებს ყოველი ჯურისა და რანგის პროპაგანდისტ-აგიტატორები.

ბ. მუშიშვილი.

ტელე-გრამები

„ზაკროსტას" ცნობები 4 ნოემბრიდან.

გერმანიის ამბები.

სახელმწიფო მეურნეობის მინისტრმა რაუმერმა თავის გადადგომის მიზეზად წამოაყენა ის, რომ მას არ შეუძლიან გაატაროს თავისი ეკონომიური და სოციალური პროგრამა

სახალხო პარტია თხოულობს კაბინეტის რეორგანიზაციას მის შემდეგ, როცა გადადგებიან გილფერდინგი და ლიუტერი. ს.-დემოკრატებს არ სურუთ ასეთი მსხვერპლი.

სხდომის შემდეგ შტრეზემანმა შეიტანა წინადადება თავის გადადგომის შესახებ, პრეზიდენტ ებერტს ამის შესახებ თავის გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია.

„რეიტერის" სააგენტოს ცნობით სოციალ-დემოკრატებმა უარჰყვეს კაბინეთის მიერ წარმოდგენილი კომპრომისი. მოსალოდნელია მთელი კაბინეთის გადადგომა.

შტრეზემანის კაბინეთის მდგომარეობა მეტად შეირყა, რადგანაც შტრეზემანი თვით საკუთარ, სახალხო პარტიაშიაც ვეღარ ჰპოულობს დასაყრდნობს.

უკანასკნელი ცნობებით, კომპრომისი ითვალისწინებს მარტო გენერალ ფონ-რექტის კი არა არამედ მისსა და შტრეზემანის გაერთიანებულ დიქტატურას.

ბერლინში დარწმუნებული არიან, რომ შტრეზემანს მიენდობა ახალი წმინდა ბურჟუაზიული მთავრობის შედგენა.

სოც.-დემოკრატები აცხადებენ, რომ შტრეზემანი მემარჯვენეებს გარეშეც შესძლებს კაბინეტის შედგენას.

100.000 რეაქციონერის მიერ განზრახული შეტევა ბერლინზედ ჩაიშალა. მთავრობამ ბერლინის მიდამოებში შეიპყრო ბოროტ-მოქმედი და აგრეთვე 200 კაცი დებრიცის გარნიზონში, რომელთაც ბრალდებათ აჯანყებულთათვის ხელის შეწყობა.

ბავარიაში რეაქცია უფრო და უფრო ძლიერდება, რის გამო შესაძლებელია შიგნით უწესოება.

სეპარატიული მოძრაობა ბავარიაში იზრდება. ელიან რუპრეხტის მეფედ გამოცხადებას

როგორც მიუნხენიდან იტყობინებიან, ომში დაღუპულთათვის ძეგლის გახსნის დროს, რუპრეხტს ხალხი ხვდებოდა ყვირილით: „მეფეს გაუმარჯოსო."

ადასტურებენ, რომ დიქტატორმა ფონ-კარმა შესცვალა ბავარიის პრემიერი კნილინგი.

გერმანიის რკინის გზელთა კავშირმა და მოხელეთა საზოგადოებამ ესსენში უარი სთქვეს მუშაობის განახლებაზედ, ვიდრე ფრანგები მოითხოვენ ფიცის მიღებას და ვიდრე არ დააბრუნებენ ყველა გადასახლებულთ.

დღევანდლამდე რურის ოლქის 6 ქალაქმა მიიღო თავზედ ვალდებულება გადაიხადოს ფრანგების გარნიზონების ხარჯები.

„ჰავასის" სააგენტოს ცნობით, გერმანიის კაბინეტი გადადგა.

შტრეზემანის კაბინეთის ხანგრძლივი სხდომის შემდეგ სოციალ დემოკრატმა უარი სთქვეს ბავარიაში საალყო წესების მოხსნის მოთხოვნილებაზედ.

დასთანხმდნენ აგრეთვე მიეცეს მთავრობას უფლება დამოუკიდებლად გადასწყვიტოს ეკონომიური და ფინანსიური კითხვები და გადიდდეს სამუშაო დღე.

ამრიგად სოც.-ცემოკრატიამ დააკმაყოფილა სახალხო პარტიის ყველა მოთხოვნილება, გარდა კონფერენციის გადადგომისა.

ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ სოც.-დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის უთანხმოება მოისპო.

ბერლინის პოლიტიკური წრეები გაკვირვებული არიან, რომ საფრანგეთი და ბელგია აქამდის არ აცნობებენ გერმანიას თავის მომავალ განზრახვებს რურში, პასიურ წინააღმდეგობის მოსპობის შემდეგ.

ხმებია ვითომც ვიურტემბერგისა და ბავარიის მთავრობებს შორის სწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება გაერთიანებულ სეპარატისტულ გამოსვლების შესახებ.

ბავარიის მემარჯვენეთა ორგანიზაციების წევრები მასსიურად გადადიან გიტლერის მებრძოლთა კავშირში.

პრეზიდენტმა ებერტმა მიიღო შტრეზემანის კაბინეთის გადადგომა.

ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ისევ შტრეზემანს, რომელიც ეცდება კაბინეთში შეიყვანოს პოლიტიკურ პარტიებისაგან დამოუკიდებელი საქმის ხალხი.

საქსონიაში აეკრძალეს ყველა კომუნისტური გაზეთები, რადგანაც მათ დაბეჭდეს „პრეზიდენტ ებერტის დამამცირებელი წერილი".

ქალ. გინდენბურგში (ზემო სილეზია) უსურსათობის ნიადაგზედ მოხდა არეულობა. პოლიციასთან შეტაკებამ იმსხვერპლა 3 კაცი.

კაბინეტის გადადგომამ ლონდონში არავითარი გაკვირვება არ გამოიწვია. ფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტის შედგენის შემდეგ, დაჰშლიან რეიხსტაგს და ამით რამოდენიმე ხნით მთავრობას მიეცემა მოქმედების თავისუფლება.

პარიზის გაზეთები ეჭვით უყურებენ, რომ შტრეზემანმა შესძლოს მის წინაშე მდგარი საკითხის გადაწყვეტა.

მემარცხენე პრესა გერმანიის ამბებში ბრალსა სდებს პუანკარეს.

საფრანგეთის მთავრობა, როგორც ირწმუნებიან, მზადაა „ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევისათვის".

გენერალი დეგუტი ოკუპაცია ქმნილ ოლქებში მუშაობის განახლებას უკავშირებს იმას, თუ დასთანხმდებიან თუ არა მუშები 10 საათის სამუშაო დღის დაწესებას, ფიცის მიცემას და ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების დაშლას.

მიუხედავად პასიურ წინააღმდეგობის მოსპობისა, საოკუპაციო მთავრობა რურში განაგრძობს და უფრო აძლიერებს ტერორსა და დაპატიმრებას, რითაც ხალხი უფრო ბოროტდება ფრანგების წინააღმდეგ. რკინისგზელთა სამსახურში უკან დაბრუნების პირობები ცხადჰყოფენ, რომ საფრანგეთი არ სცდილობს რკინის გზის მიმოსვლის აღდგენას.

დილის პრესა იტყობინება, რომ სოციალ-დემოკრატებს დაუდგენიათ არ მიიღონ მონაწილეობა ახალ კაბინეტში.

მეტი წილი გაზეთებისა კოალიციის დაშლას აბრალებენ იმას, რომ პასიურ წინააღმდეგობის მოსპობის შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი გაჰქრა სრულიად.

ს. ს. რ. კ ცნობის გარშემო

მოსკოვი. ინგლისის ფირმა „გერმენი და კერტონგი" საზღვარ გარეთ [illegible] საზოგადოებას მოსკოვის [illegible] თანახმად მოსკოვის [illegible] სთან დადებულ ხელშეკრულებისა.

რომი. ქალ. ბარის (იტალეთი) ხელისუფლება შეეცადა გამოედევნა ს. ს. რ. კ. სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ალექსეევი. ამის გამო ს. ს. რ. კ. რწმუნებულმა იტალიის მთავრობას გადასცა ნოტა, სადაც ნაჩვენებია, რომ ეს ცდა ნაყოფია თეთრგვარდიელების ხრიკებისა, რომელნიც სცდილობენ იტალეთ-რუსეთს შორის ჩამოაგდონ უთანხმოება. ნოტა მოითხოვს თეთრგვარდიელების წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომების მიღებას და ქ. ბარის მთავრობის მოქმედების გამოძიებას.

რიგა. (ლატვია). რუსეთიდან დაბრუნებულმა ფინანსთა მინისტრმა პუნგემ განაცხადა, რომ ლატვიისათვის აუცილებელია ვიწრო ეკონომიური კავშირის დაჭერა საბჭოთა რუსეთთან.

პარიზი. დე-მონზისა, ერრიოსა და სხვ. რუსეთში მოგზაურობის შემდეგ საფრანგეთს დიდი ინტერესი ემჩნევა რუსეთისადმი. მრეწველთა წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთსა და ს. რ. რ. კ. შორის ურთი-ერთობის აღდგენა უახლოეს დღეების საქმეა.

სტოკჰოლმი. (შვეცია) ნორვეგიაში რუსეთის სასარგებლოდ მომხდარ გარდატეხის გამო, „პოლიტიკენი" სწერს, რომ შვეციისაგან რუსეთის დე-ფაქტო ცნობასაც კი არ უნდა ველოდეთ, ვიდრე სათავეში კრიუგერის კაბინეთი სდგას, რომელსაც ზურგს უმაგრებს ნობელი.

ქრისტიანია. (ნორვეგია). კომპარტიის მოთხოვნილება რუსეთის დე-იურედ ცნობის შესახებ, თანაგრძნობას პოულობს ბურჟუაზიულ პრესის ერთ ნაწილში. ყოფილი სამხედრო ატტაშე პეტროგრადში, კვისლინგი არწმუნებს, რომ ნორვეგიის ინტერესი მოითხოვს ს. ს. რ. კ. ცნობას. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ ამერიკანიზაციის პროცესი სწრაფად ჩააყენებს რუსეთს ევროპის მთავარ სახელმწიფოთა რიგში.

ქაბული. ს. ს. რ. კ. რწმუნებულმა რასკოლნიკოვმა გადასცა ავღანისტანის ემირს რწმუნების სიგელი. ემირმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ რუსეთ-ავღანისტანის სავაჭრო ხელშეკრულების დადება სულ ახლო მომავლის საკითხია.

უცხოეთი

ანგორა. კონსტანტინოპოლის ევაკუაცია დამთავრდა. თანახმად ლოზანას ხელშეკრულებისა, იქ რჩება მოკავშირეთა მხოლოდ პატარა ესკადრა. ოსმალეთის ჯარი შევა 6 ოქტომბერს.

ლონდონი. ევაკუაციამ სრულიად უინციდენტოდ ჩაიარა. გამოსათხოვარ აღლუმზედ მოკავშირეთა ჯარების სარდალმა ოსმალეთის ხალხს უსურვა კეთილდღეობა და ბედნიერება.

ანგორა. ანგორაში იგზავნებიან ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალეთის კონსულები, რომელ-

ჩვენი წარსული და მომავალი

პასუხად ი. ბ.—ს.

წარსულის გამოძიებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თვით თანამედროვე ცხოვრებას, რომელსაც ყველის მხრივ გაწყვეტილი აქვს კავშირი აწმყოსთან, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც წარსულში დარჩენილი სოციალური ძალები წარმოადგენენ დადებით მასალას მომავლისათვის.

წარსულში ყოველთვის ორი მომენტია: საარქივო და საპერსპექტივო, რეაქციონური და პროგრესიული, უარსაყოფი და მისაღები, შეცდომები და შეუცდომელი ფაქტორები. უნდა უარვყოთ უკუსაგდები და მივიღოთ დადებითი მოვლენები. მაგრამ ამ წარსულის შესწავლას ჩვენ ვერ მივუდგებით მეტაფიზიკურად, როგორც ამას ამხ. ი. ბ.—ი სჩადის. აქაც ის ჟორდანიას „ცირკის" გავლენის ქვეშ იმყოფება. ი. ბ.—ის საპასუხო წერილებში ერთხელაც არ არის წარმოდგენილი ის ისტორიული პირობები, რომელშიაც ესა თუ ის მოღვაწე აზროვნობს და მოქმედებს. ი. ბ.—ს აღებული აქვს ისტორია, როგორც სრულიად დაუწერელი დაფა, „ტაბულა რაზა" და განყენებული მსჯელობის მეთოდით აფასებს ამა თუ იმ ციტატას. საკითხის ასე მიდგომას არავითარი სერიოზული ღირებულება არ აქვს, თუმცა ი. ბ.—ი ღრმად დარწმუნებულია, რომ ის ერთხელაც არ ღალატობს ისტორიულ და დიალექტურ მეთოდებს.

აიღეთ ნ. ჟორდანიას ახალი ბროშიურა—„ბოლშევიზმი". თქვენ აქ დაინახავთ ლენინის კრიტიკას მეტაფიზიკურად, განყენებულად, თითქოს 20 წლის წინად საჭირო ტაქტიკური წერილებით შეიძლებოდეს თანამედროვე საერთაშორისო ტაქტიკის და პოლიტიკის განჭვრეტა. ჟორდანია იოტის ოდნავაც არ ითვალისწინებს თანამედროვე მსოფლიოს სოციალ-ეკონომიურ ძალთა განწყობილებას და ისე მსჯელობს. რა ფასი აქვს ჟორდანიას კრიტიკას?—არავითარი და სწორედ ანალოგიურ მეთოდით გვიდგება ჩვენ ამხ. ი. ბ.—ი.

ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვამჩნევთ ი. ბ.—ს ძველი სოციალ-დემოკრატიის გავლენას. როცა ჩვენ მასალები მოვიყვანეთ ჯორჯაძიდან დემოკრატიზმის საწინააღმდეგოთ, ი. ბ.—ი გვეუბნება: ეს კიდევ არ ნიშნავს დიქტატურის მიღებასო. მაგრამ განა ჩვენ სადმე გვაქვს ნათქვამი, რომ ჯორჯაძემ 20 წლის წინად ასახა თანამედროვე წყობილება თქო? ამის თქმა მხოლოდ მეტაფიზიკოსს შეუძლია და არა დიალექტიკს. განა 1903—5 წელში ლენინი იგი იყო, რაც დღეს არის? ასე რომ იყოს ლენინი იქნებოდა დიდი ბავშვი დიდი პოლიტიკოსის მაგიერ.

როცა არჩილი დემოკრატიზმს და პარლამენტარიზმს ებრძვის ი. ბ. ამას ანარქიზმად სახავს, მაგრამ აქ ი. ბ. მხოლოდ კ. კაუცკის იმეორებს, რომელმაც ლენინი სწორედ ამისათვის ანარქისტად მონათლა.

დიქტატურის შესახებ ამხ. ი. ბ. სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს: „დემოკრატიზმს უარყოფენ ყველა ჯურის რეაქციონერებიცა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად უარყოფენ ისინი პროლეტარიატის დიქტატურას". მაგრამ რა შუაშია აქ არჩილი და ჩვენ? აიღეთ გაზეთი „ნოვოე ვრემია", რომელიც დღეს ბელგრადში გამოდის. აქ თქვენ ნახავთ ყოველ ცისმარე დღეს დემოკრატიზმის და პარლამენტარიზმის გათახსირებას, ხოლო დიქტატურასაც იღებენ, მაგრამ „ნოვოე ვრემიას" ანტიდემოკრატიზმი და დიქტატურა არის მსხვილი რეაქციონური ბურჟუაზიის და ფეოდალურ ელემენტების დიქტატურა, რომელნიც დღეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სადღეგრძელოთ ბელგრადის სობოროში კიევის მიტროპოლიტის ანტონის მესვეურობით პარაკლისს იხდიან. მაგრამ არჩილი განა ასეთ ელემენტებისათვის უარყოფს დემოკრატიზმსა და პარლამენტარიზმს? რა აზრით ხელმძღვანელობს არჩილი? მოუსმინოთ: „ჩვენ ყველანი შევთანხმდით იმაზე, რომ დღეს სოფელში მარტო ბატონ-ყმურ ნაშთების გაუქმება არ არის საკმარისი, **რომ დღესვე საჭიროა ბრძოლა ბურჟუაზიული ურთი-ერთობის, ბურჟუაზიული კერძო საკუთრების წინააღმდეგაც**".

ბურჟუაზიულ ურთი-ერთობის გაუქმება უნდა მოხდეს თვით პროლეტარიატის მიერ. არჩილი ამბობს: „პროლეტარიატის განთავისუფლება უნდა მოხდეს მისივე ძალ-ღონით და **კლასიურ ნიადაგზე** (ხაზი არჩილისაა—თ. ღ.) გამართული ბრძოლის საშუალებით. ეს არის დევიზი მშრომელი ხალხისა". შემდეგ არჩილი ინტელიგენციის ძალის განდიდებას ებრძვის და განაგრძობს: „სოციალისტურ პარტიების ინტელიგენცია კი არწმუნებს პროლეტარიატს, რომ მისი განთავისუფლების საქმე უნდა ჩაბარდეს ინტელიგენციას, დეპუტატებს, რომელნიც პარლამენტში (ბურჟუაზიულ კლასიურ დაწესებულებაში) დაიცავენ პროლეტარიატის ინტერესებს. აქ არის ძირითადი წინააღმდეგობა პროლეტარიატის და სოციალისტურ ინტელიგენციის მისწრაფებათა შორის". ასე სწერდა არჩილი. თუ ამხ. ი. ბ.—ი მოიგონებს 1907 წელს, როცა მენშევიკებს და ბოლშევიკებს შორის დიდი კამათი სწარმოებდა „დუმაში" მონაწილეობის და პარლამენტარიზმის ირგვლივ ის აქ დიდად ნაცნობ აზრებს შეამჩნევს.

მე აქ არც დრო მაქვს და არც საჭიროდ მიმაჩნია არჩილის მთელი ფიზიონომია გადავშალოთ. ისტორია ამ დიდ პიროვნებას სათანადოთ დააფასებს. ჩვენ მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია ერთი არსებითი დებულება წამოვაყენოთ: მემარჯვენეებიც შეეცდებიან არჩილი გამოიყენონ, (განა ჟორდანიაც არ ცდილობს ლენინი გამოიყენოს თავისი აზრებისათვის?—იხ. მისი ბროშიურა—„ბოლშევიზმი", ბერლინის გამოცემა 23 წ.), მაგრამ ჩვენ არჩილში **მუდამ** ვხედავდით სოციალისტს და ვხელმძღვანელობდით სოციალისტური და რევოლიუციონური მიმართულებით. მენშევიკების დროს ჩვენ, „სახალხო საქმით" უკმაყოფილოებმა საგანგებო გაზეთი დავაარსეთ, „ზვირთი", სადაც მთელი კამპანია გვქონდა გამართული სოციალისტური რევოლიუციის სასარგებლოდ და სადაც არჩილში მუდამ სოციალისტს ვხედავდით. ჩვენ არც ერთხელ, არსად, არასოდეს არ გადაგვიხვევია ამ ძირითად დებულებისათვის და სადაც არჩილს ვახსენებდით მის სახელს არ ვაცილებდით სოციალიზმს და რევოლიუციას. აი ამიტომ ჩვენ მუდამ და ახლაც პასუხისმგებელი ვიყავით არჩილის სოციალისტურ და რევოლიუციონურ შემოქმედების, რასაც ვიღებდით და ვემსახურებოდით.

გადავიდეთ ახალ ეროვნულ საკითხზე. ამხ. ი. ბ.-ი. სწერს „კომუნისტში": „გადაავლეთ თვალი არჩილის ნაწერებს... და მათ წარსულს მოღვაწეობას; ყველგან და ყოველ დროს ლაპარაკი პირველ ყოვლისა და უმთავრესად ეროვნულ საკითხის გარშემო ტრიალებდა... მაგრამ საქართველოს მუშები და გლეხები არ გაყვნენ მათ გზას, არ გამოეხმაურენ მათ, რამაც საშინლად გააბრაზა ა. ჯორჯაძე". რომ ფედერალისტთა პარტიას საქართველოს მუშათა კლასი არ გაყვა—ეს ცხადია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს აიხსნება მით, რომ საქ. მუშათა კლასი უკვე იყო მენშევიკების გავლენის ქვეშ, როცა პარტიის (ფედერალისტების) ხსენებაც არსად იყო. ყოველ შემთხვევაში აქ ეროვნული საკითხი არაფერს შუაშია, როგორც ეს ი. ბ.—ს გონია. პირიქით, ეროვ. საკითხის საბოლოდ მიუღებლობა მენშევიკებს ჩამოაშორებდა მუშათა კლასს, რაიცა თვით მენშევიკებმა მალე იგრძნეს. ამიტომ იყო მენშევიკებმა ჩვენგან წაიღეს ეროვნული პროგრამა და საფუძველიანადაც დაამახინჯეს იგი. 1920 წელში „ახალი კომუნისტი" № 74 სწერდა: „მენშევიკებმა ხელიდან წაგლიჯეს ფედერალისტებს ეროვნული პროგრამა და წარმატებით მიაშურეს ისეთ საქმეს, რომლის კეთება მათ წინად მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდათ; ფედერალისტები კი გარეშე მაყურებლადაც აღარ მიუშვეს".

ამგვარად ეროვნული პროგრამა არ იყო პარტიის დამაუძლურებელი. ამ პროგრამით პარტიამ უეჭველად დიდი გავლენა მოიპოვა საქართველოში იდეურად და მენშევიკების საოცარი შევიწროების მიუხედავად პარტიამ შესძლო 45 ათასი ხმის მოკრება დამ. კრებაში. ფედერალისტთა პარტიის ჯერთების გაუშლელობა არც პარტიის მარტო გამოუცდელობას მიეწერება. მენშევიკების ხელში მეტად ძნელი იყო ფართო მასშტაბით გავლენის მოპოება. თვით კომუნისტური პარტიაც არ უარყოფდა და „ახალ კომუნისტში" № 85-ის სწერდა: „გადამთიელი სამართლიანად ამბობს, რომ ჩვენ ვერ გავხდით საკმაოდ საგრძნობი ძალა ჩვენი ქვეყნისა... ჩვენ ვერ შევსძელით გაგვეჩაღებია ნამდვილი ორგანიზაციული მუშაობა და დღემდე ვერ გავსცილდით უბრალო პროპაგანდისტულ მუშაობას". თუ ასეთს მდგომარეობამდე მიიყვანა რამიშვილიადამ კომპარტია, უფრო ნაკლები ძალის და საშუალების პარტიაც—ბუნებრივია—კიდევ უფრო ადვილად მოღუნავდა თავის კისერს.

ამნაირად, ჩვენ არ ვსთვლით პროგრამულ სივაგლახით ფედერალისთა პარტიის გავლენის სიმცირეს მუშათა კლასში. პარტიული პროგრამა დიდ საშუალებას იძლეოდა მუშათა კლასის სასარგებლო მუშაობისათვის. სწორედ ამიტომ ვიყავით ჩვენ ფედერალისტთა პარტიაში და შეძლების დაგვარად ვემსახურებოდით სოციალისტურ იდეას.

მაგრამ ი. ბ.—ს ნამდვილად არ სწამს ჩვენი არც მემარცხენეობა, არც სოციალისტური მიმართულება. იგი სწერს: „ეს რომ ასე ყოფილიყო, ისინი თავიდანვე ვერ გასძლებდნენ მთლიან პარტიაში და ცალკე პარტიას დაარსებდნენ, **როგორც ეს მოიმოქმედეს საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ**". დააკვირდით ხაზ გასმულს. ი. ბ.—ი გვეუბნება, რაღა საბჭოთა წყობილების დროს შესძელით პარტიის დაარსება და ეს ვერ შესძელით მენშევიკების დროსო.

მე თავიდანვე აღვნიშნე, რომ ამხ. ი. ბ.—ი არ არის კარგად გაცნობილი ჩვენს საშინაო საქმებს და ამიტომ მთელ რიგ შეცდომებს უშვებს. ჩვენ არავითარი ახალი პარტია არ დაგვიარსებია. საბჭოთა ხელისუფლების დროს 1921 წლის ივნისამდე, ე. ი. მე-VI კონფერენციამდე ჩვენ ვსარგებლობდით მთლიანი პარტიის სახელით, მთლიანი კონფერენციაც ჩვენ მოვიწვიეთ, მთლიანობისათვის ჩვენვე ყველაფერი ჩავიდინეთ, მაგრამ პარტია გა-

ნიც მოკავშირეთა მიერ ზავის რატიფიკაციის შემდეგ შეიცვლებიან ელჩებათ.

ბერლინი. იაპონიის კუნძულ ფორმოზაზედ მოხდა მიწის ძვრა, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, და დიდად დააზარალა. კუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი. ქალ. ტაიტოში დაინგრა თითქმის ყველა შენობა. ზარალი გამოურკვეველია. ქვანახშირის მაღაროებში აფეთქებამ იმსხვერპლა 5 მემაღაროვე.

ლონდონი. მოკავშირეებმა ლიტვის მთავრობას აცნობეს, რომ მემელის საკითხი გადაეცემა ერთა ლიგას.

მინსკი. ვილნაიდან მიღებულ ცნობით, პოლონეთის ბელორუსეთში გაძლიერდა ტერორი ბელორუსების ორგანიზაციებსა და დეპუტატების წინააღმდეგ. ბელოსტოკის ციხეში დაპატიმრებულმა ბელორუსებმა გამოაცხადეს შიმშილი, რისთვისაც ისინი გადაგზავნეს პოლონეთში.

რომი. მუსოლინის მოთხოვნილებით, ფაშისტთა პარტიის აღმასკომი გადადგა.

ვენა. საბერძნეთმა თავის წარმომადგენლად კონსტანტინოპოლში დანიშნა პოლიტისი. ოსმალეთის წარმომადგენლად ათინაში დანიშნულია ყოფილი სამხედრო მინისტრი ჰაჯი-ბეი.

ვენა. ბულგარეთის მთავრობა სთხოვს სამხრეთ-სლავიას გადასცეს მას კოლაროვი და დიმიტროვი. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მთავრობა მთელს სახელმწიფოში გზავნის სამხედრო ექსპედიციებს.

ვენა. ჰუნგრეთის კონტრ-რევოლიუციონერების ბელადი ფრიგერიოვი გაემგზავრა მიუნხენში.

ვენა. ჰუნგრეთის მთავრობამ აღკრძალა სოც.-დემოკრატების კრებები. უკანასკნელთა ბელადებმა განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობენ ბრძოლას მთავრობის პროვოკაციასთან და პოლიტიკურ ემიგრანტების დაბრუნებისათვის.

ვენა. ბუქარესტში ჩასულმა საფრანგეთის სენატის საფინანსო კომისიის წევრმა ბერანჟემ განაცხადა, რომ საფრანგეთი მისცემს პოლონეთს, რუმინეთს და სამხრეთ-სლავიას 800 მილ. ფრანკ სესხს აქედან რუმინეთი მიიღებს 100 მილ. ფრანკს საფრანგეთში სამხედრო იარაღის შესაძენად

რომი. საფრანგეთი წინააღმდეგია ტანჟერის კონფერენციაზედ იტალიის დაშვებისა იტალეთი მოითხოვს ტანჟერის ინტერნაციონალიზაციას და ნეიტრალიზაციას.

განათლების მუშაკთა კავშირში.

მიმდინარე თვის 11, ქ. ტფილისში გაიმართა კავშირის სამაზრო განყოფილებათა თავმჯდომარეების თათბირი. თათბირის მიზანი იყო ერთის-მხრით სრული ინფორმაციის მიწოდება ცენტრისთვის, ადგილების მდგომარეობის შესახებ სამოსწავლო წლის დასაწყისში (კავშირი აერთიანებს უმთავრესად ასეთ დაწესებულებათა მუშაკებს). მეორეს მხრით ინსტრუქცია, დირექტივების მიღება ცენტრიდან. მოხსენებაში (ადგილებიდან) აღძრულ საკითხზე-თათბირზე გამოცხადდა 18 სამაზრო განყოფილების წარმომადგენელი. სხდომები გრძელდებოდა 4 დღეს, და ატარებდა საქმიან ხასიათს.

როგორც მოხსენებათაგან სჩანს საორგანიზაციო მუშაობა თითქმის ყველგან დამთავრებულია. ამ მხრით დიდი ნაბიჯებია წინ გასულ წელთან შედარებით. ადგილებზე უკვე გრძნობენ კავშირის არსებობას და მის ძალას. სამეურნეო ორგანოებიც (განათლების განყოფილება) საკმაო ანგარიშს უწევენ. განსაკუთრებით ხაზ გასმით იქმნა აღნიშნული ყველა განყოფილებათა მიერ მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხის კარგად დაყენება. თუ გასულ წელს განათლების კომისარიატი ვერ ახერხებდა დამზღვევ პროც. გადახდას,-წელს პირიქით კომისარიატი პირველია ამ მხრივ. კიდევ მეტი: ზოგ მაზრებში (გორი, ლეჩხუმი და სხვა) მხოლოდ ის იხდის პროც., და უკანასკნელის თანხა წარმოადგენს ყველა კავშირის წევრთათვის დახმარების წყაროს. ამ გარემოებას ერთი უარყოფითი შედეგი აქვს განათლების მუშაკთა თავის თანხები არ ყოფნის ყველას, რის გამოც ხშირად ავადმყოფი განათლების მუშაკი მოკლებულია სათანადო დახმარებას. საჭიროა დანარჩენ უწყებებმაც დროულად არიცხონ დასაზღვევი პროც. კავშირის მოქმედება აშკარად სჩანს მუშაკთა მიღება—დათხოვნის საკითხში. თითქმის ყველა მაზრებში, როგორც ახლის მიღება, ისე ყოველგვარ გადაჯგუფება—განრიგება ხდება კავშირის ორგანოების უშუალო მონაწილეობით. ამ მიმართულებით გატაცებასაც აქვს ადგილი.—ოზურგეთში, მაგალითად, კავშირს ექსპერტიზმის მოხდენაც განუზრახავს. არის დეფექტებიც ამ დარგში (სატარიფო—საეკონომიო—შრომის დაცვა). ადგილები ხშირად სისწორით ვერ იგებენ კოლექტიურ ხელშეკრულების თუ შრომის კანონთა კოდექსის ამა თუ იმ მუხლს. თითქმის სრულიად შეუთვისებელია შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის ფუნქციები, როგორც კავშირის (მუშათა-ფრაქცია) ისე ადმინისტრაციის მხრივაც.

ყველა ამ გაუგებრობათ, ალბად, ალაგი არ ექმნება მომავალში—რადგან დაწვრილებითი განმარტება მიიღეს ყველა დეტალზე.

კულტმუშაობის მხრივ ადგილები ვერ იძლევიან სასურველ სურათს. რამდენადმე არის საპატიო მიზეზები. ის გარემოებაც აღსანიშნავია, რომ კავშირის უმრავლესობა შედარებით კვალიფიციური მუშაკებია. ამას გარდა საზაფხულო არდადაგებში მთელი მასწავლებლობა მოფენილ იყო გადასამზადებელთ კურსებზე. თავის—თავად ეს დიდი საკულტურო მუშაობაც იყო, მაგრამ ვერ იტევდა იმ პროფესიულ—პოლიტიკურ ამოცანებს, რაიც კავშირს მიზნად აქვს დასახული ც. გ. ადგილებს უნაწილებდა კულტ ფონდს (როგორც წიგნებით, ისე ფულათ ეს წიგნები ხშირად არ გაცილებია ნესტიან კარადებს და ფული კი უსარგებლოდ ინახებოდა კასებში). გამგეობამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და იმ მაზრებს, რომლებიც ვერ გამოიყენებს კულტ—ფონდს უკანასკნელი არ გაიგზავნება და მოხმარდება უფრო ენერგიულ მაზრებს.

ასეთებად უსათუოდ უნდა ჩაითვალოს: ქუთაისი, გორი, ოზურგეთი და სხვა. ქუთაისში უკვე რამდენიმე თვეა გახსნილია განათლების მუშაკთა სახლი. დაარსებულია მთელი რიგი პედაგოგიურ ხასიათის ქ. სექციაში სწარმოებს სისტემატიური მეცადინეობა, ლექციების კითხვა, საუბრები. ამ მიმართულებით მუშაობის წამოწყება განზრახული აქვთ ოზურგეთს, გორს. უკანასკნელის ინიციატივით ქ. ხაშურში ამ დღეებში გაიხსნება განათლების მუშაკთა სახლი ც. გ. უკვე გადასცა უფასოდ ნახევარი მილიარდის წიგნები „სახლთან“ ბიბლიოთეკის მოსაწყობად.

მიუხედავად ზევიდხსენებულ დეფექტებისა წარსულთან შედარებით მაინც აღსანიშნავია ადგილებზე კულტმუშაობის გამოცხადება.

საზოგადოთ ადგილებზე კულტმუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ ჟამად, როცა ც. გ. გამოსცა ყოველთვიური პროფესიონალურ-პედაგოგიური ჟურნალი. მართალია, ჟურნალის პირველი № სუსტია (ამას არ მალავს არც გამგეობა), მაგრამ ამ სისუსტის ძლევა დამოკიდებულია სწორედ ადგილების თვით მოქმედებაზე, მათი მუშაობის უნარზე და ხალისზე.

ერთი გადაუდებელი ამოცანათაგანია დაუყონებლივ კორესპოდენტ—თანამშრომელთა ქსელის გაფართოება და ჟურნალის გავრცელება.

ც. გამგეობას განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოსცეს კრებული ჩვენი კავშირის ისტორიის შესახებ. ცენტრში უკვე დაარსებულია კომისია მასალების შესაკრებად. ასეთი კომისიები უნდა მოეწყოს ყველა მაზრებში.

უკვე გამზადებულია და მალე დაიბეჭდება გ. მ. ს. გამოცემი დიუის და სინიცკის წიგნები ქართულ ენაზე, რაიც დიდ განძებათ უნდა ჩაითვალოს წიგნებით ღარიბ ქართულ პედაგოგიკისათვის.

განათლების მუშაკთა კავშირი საკმაოდ მტკიცეა ფინანსიური მხრითაც, არის დეფიციტიანი მაზრები: ლეჩხუმი, ფოთი, დუშეთი, ახალციხე, ახალქალაქი და ბორჯომი. ამათ დეფიციტს ფარავს ც.-გამგეობა. დანარჩენი მაზრები არსებობენ საკუთარი თანხებით.-გამგეობის მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

კავშირის საფინანსო მდგომარეობის გათვალისწინებით, ერთის მხრით და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ჩატარებულ იქნა სამაზრო განყოფილებათა რეორგანიზაცია. ეს მაზრები, რომლებიც აკავშირებს 350 წევრზე ნაკლებს, გადაკეთდა სამაზრო ადგილკომებათ: [illegible] ახალციხე,—ახალქალაქი, ბორჯომი,-ფოთი, რაჭა, ლეჩხუმი, დუშეთი, ბორჩალო. დანარჩენი განყოფილებები იქცევიან სამაზრო და რესპუბლიკანურ განყოფილებათ. (უკანასკნელია: აჭარა, აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი). თვითეულ სამაზრო განყოფილებას ეძლევა გასამრჯელო ერთი პასუხისმგებელ და ერთ ტეხნიკურ თანამშრომელზე

სამაზრო ქალაქებში ადგილკომები უქმდება. მათ ნაცვლად არსდება დელეგატ-რწმუნებულის ინსტიტუტი. თვითეულ დაწესებულებას ჰყავს დელეგატი. საკავშირო მუშაობა ქალაქის ფარგლებში სწარმოებს განყოფილების გამგეობის ხელმძღვანელობით. მაზრაში: თვითეული თემი ირჩევს დელეგატს. თემთა დელეგატები ადგენენ რაიონულ ადკომს, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს მაზრა. რაიონული ადგილკომები იღებს გასამრჯელოს. ასეთებია: ქუთაისის მაზრაში ორი (სამტრედია, ხონი), აჭარაში 2) ქობულეთი, ქ. აჭარა. აფხაზეთში—4 (კოდორი, სამურზაყანო, გუმისი, გუდაუთი), სენაკში—1 (აბაშა), ოზურგეთში—2 (ლანჩხუთი, ჩოხატაური), ჭიათურაში—1 (ყვირილაში), გორი—1 (ხაშური) პროც. ანარიცხები კავშირის წევრებიდან უდრის—4. იკრიბება ქალაქებში ინდივიდუალური წესით, ადგილებზე—სათემო დელეგატ რწმუნებულთა საშუალებით. კონფერენციის შემდეგ გაიმართა გაფართოვებული პლენუმის სხდომა: გამგეობის წევრების სამაზრო განყოფილებათა თავმჯდომარეების და ადკომების მონაწილეობით. პლენუმმა სრულიად საქართველოს მესამე ყრილობის დადგენილების მიხედვით პრეზიდიუმის ნაცვლად გამოყო სამდივნო-სამი პირისაგან. დაამტკიცა პრეზიდიუმის გადადგმული ნაბიჯები სამაზრო განყოფილებათა რეორგანიზაციის შესახებ. მოისმინა და დაამტკიცა შრომის ახალი ნორმები, რომლებიც გამომუშავებულია ა) კავკასიის სამთავე რესპუბლიკებისთვის. საქართველოს განათლების მუშაკთათვის ახალი ნორმები შედარებით უკეთესია როგორც კვალიფიკაციის. ისე შრომის ხელფასის პირობების მხრივაც. უკვე მიღწეულია განათლების კომისარიატთან შეთანხმება და ამ დღეებში ის პრაქტიკულად შემოღებულ იქნება ცხოვრებაში.

ამა წლის 29 სექტემბერს სრულდება ერთი წელი განათლების მუშაკთა სახლის დაარსების დღიდან. ამ დღის აღსანიშნავად პლენუმმა დაადგინა ეწოდოს „სახლს“—„ცენტრალური განათლების მუშაკთა სახლი“.

ნაციონალურ საკითხში პლენუმმა საჭიროდ დაინახა რ. კ. პ. მე 12 ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში დაუყოვნებლივი გატარება.

დასასრულ ეთხოვა განათლების კომისარიატს გადმოგვცეს გამგეობის განკარგულებაში ბორჯომის ყოფილი მასწავლებელთა სანატორიუმის შენობა. განზრახულია მისი შეკეთება და მომავალ წლიდან მასწავლებელთა დასასვენებელ სახლად გამოცხადება.

ა. ბ.

ადგილობრივი მიწის ძვრა

ამა წლის სექტემბრის 4-ს, 7 საათსა და 6 წუთზედ საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია ადგილობრივი სუსტი მიწის ძვრა მიმართულება სამხრეთ აღმოსავლეთით; კერა მდებარეობს 50 კილომეტრის მანძილზედ (ბორჩალოს მაზრის რაიონში).

ხეთქა თვით მემარჯვენე ელემენტებმა, რომელნიც კონფერენციაზე მოვიდნენ და ჯიბეში რეზოლიუცია ედოთ ჩემი და ჩვენი ამხანაგების პარტიიდან გარიცხვის შესახებ. საბჭოთა წყობილების დროს ჩვენ პარტიის მთელი აპარატი ჩაგვივარდა ხელში, რაც შეუძლებელი იყო მენშევიკების დროს და ამან შესაძლებელი გახადა ჩვენი პოლიტიკური პარტიის სახით არსებობა.

მენშევიკების ხანაში ჩვენ ვაკეთებდით მარქსიზმს, რისი გაკეთებაც შევვძლო. ჩვენ ვიბრძოდით მთელი პარტიული მასის დამორჩილებისათვის და არა ერთი-ორი კაცის პარტიიდან გასვლისათვის. გააკეთეს მაშვრალებმა რაიმე საქმე პარტიიდან გასვლით? არაფერი, მოისპნენ, მხოლოდ ჩვენ შეგვასუსტეს. მენშევიკების დროს პარტიის დაარსებაზე ლაპარაკი უდიდესი სისულელე იყო. რად გავიწყდებათ ამხ. ი. ბ.—ს თვით თქვენივე მდგომარეობა და ისტორია? კომუნისტურ პარტიას საოცრად ზურგს უმაგრებდა რუსეთის კომპარტია, როგორც პარტია, ხოლო მთელი რუსეთი, როგორც სახელმწიფო. ამავე დროს კომუნისტების ამხანაგები გაბატონებული იყვნენ აზერბეიჯანში, ხოლო რუსეთთან დადებული ხელშეკრულობა მათ ლეგალურ მუშაობის საშუალებას აძლევდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოში კომპარტია ჩავარდა მეტად ცუდ მდგომარეობაში და ამხ. ბახტრიონი, გადამთიელი, რ. კ. და სრ. სწერდნენ: „დღეს ჩვენი პარტია პარტია აღარ არის, ის მხოლოდ „წრე და ჯგუფი“ გამხდარა და შემდეგი დილემის წინაშე დამდგარა: ან სულ გაქრობა, საქართველოს ასპარეზიდან გაცლა ან და ხელახლა გამოცოცხლება“ და სხ. („იხ. კომუნისტი“ № 89, 1920 წ.)

თქვენ კი ამხ. ი. ბ. ისე ადვილად სწერთ პარტიის გაუქმება-დაარსებაზე თითქოს მირზოევის აბანოს მიღების შემდეგ ლულა-ქაბაბების ჭამა იყოს.

ჩვენთვის საჭირო არ იყო პარტიიდან გარიყვა იმიტომ, რომ ჩვენ სისტემატიურად ვეძებდით პარტიაში მეტ ძალას. ერთ-ერთ კონფერენციაზე ჩვენ მივიღეთ ხმების რაოდენობით მეორე ადგილი პარტიის მთავარ კომიტეტში გ. ლასხიშვილის შემდეგ. ახალი ძალები კი მხოლოდ ჩვენს ჯგუფს ემატებოდნენ.

მაგრამ ამხ. ი. ბ.-ს ნამდვილად არაფერი სწამს ჩვენი მუშაობის. აბა დაუგდეთ ყური: „კეთილი და პატიოსანი, სირცხვილი და ზიზღი მენშევიკებს, რომლებიც ბურჟუაზიული რესპუბლიკების განმტკიცების მიზნით ებრძოდნენ მუშათა გაფიცვებს. მაგრამ ერთი ვიკითხოთ—ფედერალისტების და ბოლშევიკების საერთო გამოსვლებს შემთხვევითი ხასიათი ხომ არ ჰქონია? **ხშირად სხვა და სხვა პოლიტიკური მრწამსის მაღიარებელი პარტიები შემთხვევით ერთად გამოდიან ხოლმე, ხშირად უკიდურესი მემარჯვენები სხვა და სხვა მოსაზრებით ილაშქრებენ ცენტრისა და მთავრობის წინააღმდეგ**“. ხაზი ჩვენია.

რას ნაშნავს ეს ციტატატა? რა მიზანი უნდა ჰქონოდა ჩვენს გამოსვლას? ნუ თუ მიმგზავსება, შეიძლება ჩვენი გამოსვლების „უკიდურესი მემარჯვენების“ გამოსვლებთან?

ჩვენ გავათახსირეთ მენშევიკური საგანგებო რაზმი, ვწერდით, რომ „ნუ იჭერთ ბოლშევიკებს-თქო და ნუ თუ ასეთი მოთხოვნილებით დედა-მიწის ზურგზე რომელიმე მემარჯვენ გამოსულა? თქვენ ამხ. ი. ბ. გაგიგონიათ მოწინააღმდეგე პარტიების ერთნაირი გამოსვლა, მაგრამ მოვლენისათვის თავის გართმევა ყველასათვის სავალდებულოა, რაც მოქმედი პარტია მიზანს აშკარად სახავს და აცხადებს.

ი. ბ.—მ. არ იცის თუ ვის უწყობდა ხელს ჩვენი მუშაობა არსებითად. ჩვენც აღარ გვიჭერის. კეთილი და პატიოსანი. ვნახოთ ეხლა მესამე ელემენტი, ჩვენს ბრძოლაში დაინტერესებული ძალა და ეგების იმან გააგებინოს ი. ბ.—ს. თუ რას ვაკეთებდით ჩვენ.

ყური დაუგდეთ თვით მენშევიკებს.

1920 წელი, 30 აპრილი, გაზეთი „ერთობა“ № 96: „ჩვენ ორგვარი ფურცლები ვიცით—სწერს „ერთობა—ერთი ბოლშევიკების, მიმართული საქართველოს წინააღმდეგ. ფურცლები არალეგალური —სიცრუით და ლანძღვა-გინებით სავსე.

„იბეჭდება ეს ფურცლები საიდუმლოთ ტფილისში—**სოც.-ფედერალისტთა სტამბაშიაც** კი და ვრცელდება ხალხში.

„არის მეორე გვარი ფურცლები—ბ. ღლონტის ფურცლები. იბეჭდება „სახალხო საქმის“ გვერდებზე და ვრცელდება აშკარად.

„არავითარი განსხვავება—მათ შორის არ არის გარდა იმისა, რომ ერთი იბეჭდება და ვრცელდება აშკარად, მეორე ფარულად.

„ბ. ღლონტი ამბობს—ბოლშევიკი არა ვარ, ვებრძვი მხოლოდ მენშევიკებს, მენშევიკურ მთავრობას და ამით საქართველოს ვიცავო.

„მაგრამ ეს თუ ისეა, მოეხსენება ბ. ღლონტს თუ არა, რომ **თავისი ბრძოლით ის წმინდა ბოლშევიკურ რამეს აკეთებს?** ბოლშევიკები სწერენ და ამბობენ: ყოველი მუშა, რომელიც კი საქართველოს მთავრობის დასაცავად სიტყვას დაძრავს, მოღალატეა მუშათა საქმის, გამცემი, იუდა.

„ბ. ღლონტი სწერს: ახლანდელი მთავრობის დამცველი მუშა ყვითელია, ის მოსყიდულიაო.

ბოლშევიკების მუშაობაა ფრთას არ აშლევინებს ჩვენი სახელმწიფოს მექანიზმი. იბრძვის ბოლშევიკების წინააღმდეგ სახელმწიფო, როგორც იდეურად, ისე ფიზიკურად—სასამართლოს, ადმინისტრაციის, გვარდიის, ჯარის, საგანგებო რაზმის, სისხლის სამართლის მილიციის და სხვა საშუალებით.

ბოლშევიკები ამბობენ,—საქართველოს მთავრობის ბრძოლის საშუალებები უღირსია, ეს არ შეეფერება სოციალისტურ პრინციპსო.

„ასე ბუშმენურად მსჯელობენ ბოლშევიკები. ასევე მსჯელობს კ. ღლონტიც.

„გადიკითხეთ ღლონტის წერილ-ბი. რას ნახავთ იქ? მხოლოდ ლანძღვა-გინებას. **ლანძღავს ბ. ღლონტი ჩვენს მინისტრს, ამცირებს მას, ლანძღავს საგანგებო რაზმს, „ჟანდარმებს“ უწოდებს მასში მომუშავეთ—და ამას ლაპარაკობს და სწერს ღლონტი მუშების, შეგნებული მუშების სახელით, მათ დასაცავად.**

„ღლონტის გამოსვლები მხოლოდ მენშევიკების წინააღმდეგ არ არის მიმართული. ღლონტი თავის გამოსვლებით ლახვარს სცემს ზურგიდან აგრეთვე იმ სოც.-ფედერალისტებს, თავის ამხანაგებს, რომელნიც ჩვენს მთავრობას ეხმარებიან, ჩვენთან ერთად იბრძვიან.

„როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს?“

გეყოფათ ეს ამხანაგო ი. ბ. ვერ განგიმარტა ჩვენი პოზიცია გაზ. ერთობამ“?

თუ რედაქციამ ხელმოუწერელ სტატიაში ვერაფერი გითხრათ, მოდი მივმართოთ ბ. სეით დევდარიანს; რომელსაც ახლა მაინც კარგად უნდა იცნობდეს ი. ბ.

„ერთობა“, 1920 წ., მისი, № 112. სეითი სწერს: „სახალხო საქმეს ხანდახან ბოლშევიკური სუნი აუდიოდება ხოლმე. ამ დღეებში თვალი გადავავლე მის ფურცლებზე მოთავსებულ „ფურცლებს“ და გამახსენდა ფაუსტი, რომელმაც მეფისტოფელს სული მიყიდა. ამ „ფურცლის“ ავტორს **საჯაროთ მიუყიდია სული ჩრდილოეთის მაცდურისათვის და მისი ჩაგონებით ლაპარაკობს ჩვენი დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ“.**

კიდევ, სეითი განაგრძობს: „მთავარ აზრს არც „სახალხო საქმე“ უარყოფს. **მისი „მეფურცლეც“ არ უარყოფდა, რომ ერთი მიზნის მისაღწევად სული არ გაეყიდა, ჩრდილოეთის ეშმაკი რომ არ ლაპარაკობდეს ახლა მისი პირით“.**

აი საზიზღარი ბრალდება, ბრალდება ბინძური და უსინდისო! რამდენჯერ გაიმეორა ეს უსინდისო სიცრუე სეითის შემდეგ საქართველოს სატრაპმა ნოე რამიშვილმა დამფუძნებელს კრებაში?!

მაგრამ დღეს ხომ ყველა ბოლშევიკი საქართველოში, ისინი ხომ თქვენი ამხანაგია ყველა ამხ. ი. ბ.—ი. აბა ჰკითხეთ თქვენს ამხანაგებს და ისინი გეტყვიან და დააფასებენ სისაძაგლეს სეითის მოჩმახულ სიბინძურის.

ამხანაგო ი. ბ.—ი არც ეს გეყოფათ, რომ „უკიდურეს მემარჯვენეების“ ანალოგია აღარ იხმაროთ ჩვენზე? თუ ესეც აღარ გეყოფათ, აიღეთ კიდევ სხვა ნომერი „ერთობისა“, აიღეთ ისევ ის სეითი და ყური დაუგდეთ.

„ერთობა“, 28 მაისი, № 117. სეითი სწერს: „პირველ „ფურცელში“ ღლონტი სწერდა: „რუსეთში რევოლიუციამდი მუშის შრომა უფრო უნაყოფო იყო, ვიდრე რევოლიუციის შემდეგ, როცა მუშის მდგომარეობა გაუმჯობესდა“. იქნებ ეს არ უნდოდა ეთქვა თედო ღლონტს, არ ვიცი. **ცხადია მხოლოდ, რომ ამ სიტყვებით ის მაღლა სწევს ბოლშევიკების ეკონომიურ პოლიტიკას. მე მოვიყვანე მოწმეთ თითონ ბოლშევიკები. ისინი არ აფასებენ თავის პოლიტიკას ისე კარგად, როგორც მათი მოწინააღმდეგე თედო ღლონტი“.**

იგივე სეითი კიდევ: „**იმ ოპოზიციას, რომელსაც წარმოადგენს თედო ღლონტი,** არ აქვს თავისი სახე. **სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ ის ან სინდიკალისტურად აზროვნობს, ან ბოლშევიკურად,** თუმცა თვითონ არც სინდიკალისტია და არც ბოლშევიკი“.

რაკი ი. ბ.—ს მაინცა და მაინც არ უყვარს ძველი არქივის ქექა, ჩვენც ვიკმაროთ. თავი გავანებოთ „ერთობის“ საშუალებით ი. ბ.—სათვის ისტორიის დახასიათებას.

აქ მხოლოდ ერთს ფაქტს მოვაგონებ ამხ ი. ბ.—ს. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის განხილვის დროს, სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სხდომაზე ჩვენ ვიცავდით საბჭოთა კონსტიტუციას. ამ დროს ჩემთან ერთად იყო მხოლ[illegible] შალვა ნუცუბიძე, მეორე წევრი ფრაქციისა.

ამ დროს კომუნისტური პარტია საქართველოში უკვე „ჯგუფს“ წარმოადგენდა ამხ. ბახტრიო[illegible] გამოთქმით. ალბად არც ამ ფაქტს არავითარი სული[illegible] მნიშვნელობა არ აქვს ამხ. ი. ბ.—ისათვის!

კაცია და გუნება!

დაგვრჩა ერთი მთავარი საკითხი. სა[illegible] წამებული, ათასგვარად დამახინჯებული, ეს [illegible] ჩემი წიგნის ბოლო სიტყვაობა, დასკვნა.

დროა ერთხელაც არის შევეხოთ ამ „დას[illegible]

თედო ღლონტი.

№ 6.

ახალი ამბები

— **მექრთამეობისთვის დასჯა.** ალმოს. საქ. ოლქის სამართველომ მილიციონერებს: ლ. ჭალალოვს და ხუტულოს ქრთამის აღებისთვის მიუსაჯა ორ-ორი წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება და 3 წლით ადმინისტრატიულ ორგანოში სამსახურის უფლების აღკვეთა.

— **ძმური გამოხმაურება.** ი. კ. კომ. უნივერსიტეტის სტუდენტობამ გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად გადასდო თავის ჯამაგირის 1 პროცენტი და ამასთან ერთად გაუგზავნა მისალმების დეპეშები.

— **ფულის შეგროვება ყულაბებით გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ,** დანიშნულია 12-ს და 13-ს ოქტომბერს, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს პროლეტ. დამხმარე კომიტეტი.

— **ქურდის შეპყრობა.** 1-ლ სამილიციო რაიონში 2 ოქტომბერს რაიონის თანამშრომელმა მეგრელიშვილმა ბელინსკის ქუჩაზე შეიპყრო მოქ. გალაქტიონ გამცემლიძე მცხ. ავლაბრის ქ. № 42-ში, რომელსაც აღმოაჩნდა ნაპარავი ნივთები კუთვნილი მე-2-ე რაიონში მცხ. მოქ. არტემ ასლანოვის, ღირებული ორ მილიარდ მანეთისა.

— **ბინის გაქურდვა.** მე-4 სამილიციო რაიონში, 2 ოქტ., საღამოს 9 საათზე, გაქურდული იქნა მოქ. მარიამ ალშელელის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, ღირებული ერთ მილიარდ რვაას მილიონ მანეთისა. ბოროტმოქმედი არ არის აღმოჩენილი.

— **ქურდობა.** გაქურდულ იქმნა მოქ. რუბჩიევის ბინა მცხოვ. სოლომონოვის ქ. № 3, საიდანაც წაღებულია ნივთები, ღირებული 3 მილიარდ მანეთისა, ეჭვით დაპატიმრებულია სათენიკა ხარუხანოვა

— **დუშეთის მაზრის რწმუნებული** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარის მოადგილეს განკარგულებით დუშეთის მაზრაში კომისარიატის რწმუნებულად დაინიშნა ამხ. ა. კარელიძე.

— **მუშების წვლილი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გაიღეს 579,500000 მანეთი.

— **ქალაქის ლომბარდის გახსნა.** ალმასკომმა პრინციპიალურად საჭიროდ სცნო ქალაქის ლომბარდის გახსნა. ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლა დამუშავება და პრეზიდიუმისადმი წარმოდგენა დაევალა ამხ. ბასილიას.

— **კომუნალურ ბანკის დაარსება.** ალმასკომის პრეზიდიუმის მიერ არჩეული იქნა საორგანიზაციო ბიურო ამხ. გეგეჭკორის (თავმჯდ.), სუხიშვილის (თავმჯდ. მოად.) მესხის, ელენტის, ღლონტის შემადგენლობით, რომლებსაც დავალებული აქვთ დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას, რომ 1-ლ ნოემბრიდან კომუნალურ ბანკმა დაიწყოს ოპერაციების წარმოება.

— **დაწესებულებათა ბინების შემჭიდროებელ კომისიაში.** ალმასკომის წარმომადგენლად პრეზიდიუმმა აირჩია ამხ. სუხიშვილი და ელენტი.

— **ტფილისის საბჭოს სახლის გახსნა.** ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა პრინციპიალურად საჭიროდ სცნო ტფილისის საბჭოს სახლის გახსნა და დაავალა კომუნალურ განყოფილებას გამონახოს შესაფერისი შენობა და წარმოუდგინოს სახლის მოწყობის პროექტი.

— **ტრანსპორტების მუშაკთა ავტო-კლუბი.** ხსენებულ მუშათა კავშირმა გადასწყვიტა თავის წევრებისათვის გახსნას ავტო-კლუბი.

— **ურთიერთ კასის დაარსება ჭიათურაში.** ჭიათურის შავი ქვის მტვირთავ მუშათა საერთო კრებამ დაადგინა დაარსოს ურთიერთ დამხმარე კასა ჭიათურაში.

— **ბადიაურის წისქვილის შეკეთება.** ვინაიდან ბადიაურის წისქვილს დიდი სარგებლობა მოაქვს რესპუბლიკისათვის. ს. მ. უ. საბჭომ გადასწყვიტა მისი დაუყოვნებელი შეკეთება.

— **უმუშავართა ფონდი.** სამთო-მადნო მუშათა კავშირის ცენტრ. გამგეობამ ცირკულიარები დაუგზავნა, ჭიათურის, ტყიბულის და ძირულის, შავი ქვის სამრეწველო რაიონებს უმუშავართა ფონდის შექმნის შესახებ.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში** ხუთშაბათს, ოქტომბრის 4-ს შესდგა საბიბლიოთეკო სექციის კრება, სადაც წაკითხულ იქმნა მოხსენება სექციის მომავალი მუშაობის შესახებ.

— საღამოს კი ხსენებულ სახლში გაიხსნა სამაგალითო სკოლა, დაესწრენ მრავალი მასწავლებელი და გარეშე პირნი.

შაბათს, ოქტომბრის 6-ს, დილის 11 საათზე იმავე სახლში დანიშნულია საკლუბო სექციის სხდომა, რომელზედაც კლუბის მუშაკთა დასწრება აუცილებელია.

— **შრომის სასამართლოების საქმეები.** შრ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის სახ. კომისარიატის წინაშე, რათა მან დააჩქაროს შრომის სამმართველოს მეორე კამერის გასარჩევი საქმეები.

— **სამხ. აკადემიის სტუდენტთა ექსკურსია მცხეთაში.** სამხ. აკადემიის სტუდენტთა ექსკურსია რომელიც მოწყობილ იქნა ამასწინად, გაგრძელდება ორ თვეზე მეტი.

ექსკურსიამ გადმოიღო ისტორიულ ადგილებიდგან ბევრი შესანიშნავი ნაშთა გეგმები და სურათები.

— **შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის ქონების გადაცემა სოც. უზრ. სახ. კომისარიატზე.** მთავრობის დადგენილებით მთელი ქონება შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტისა გადაეცა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

— **საეკლესიო განძეულობითა გადაცემა.** რესპუბლიკის სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა გადაეცეს მას ჩამორთმეული საეკლესიო განძეულობა გლეხთა კომიტეტების და საპენსიო დამხმარე ფონდების გისაძლიერებლად.

სრ. საქ. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგეთა მე-2 ყრილობა

(28 სექტემბრის საღამოს სხდომა).

სხდომას ხსნის სხდომის პრეზიდიუმის წევრი ამხ. გ. რამიშვილი (აჭარისტანი).

გრძელდება მოხსენება ადგილებიდან. მომხსენებელი ამხ. ოობიტაშვილი ქ. ბორჯომის ალმასკომის დელეგატი.

მომხსენებელი აღნიშნავს თუ როდის დაარსდა ქ. ბორჯომში კომუნალური განყოფილება და ამ მოკლე ხანში რამდენი ცვლილება განიცადა. ქ. ბორჯომის კომუნალური განყოფილება დღეს დღეობით ექვემდებარება გორის სამაზრო ალმასკომს.

კომუნალურ განყოფილების მუშაობას ადგილებზე ძლიერ ხელ შემშლელად იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ მთელი წარმოებანი და მუნიციპალური სახლები, მდებარე ქ. ბორჯომში გადავიდა საკურორტო სამმართველოს ხელში. აღნიშნული მიზეზების გამო კომუნალური განყოფილება თითქმის არავითარ ზომებს ვერ ღებულობდა ბორჯომის გამშვენიერებაზე და კეთილ მოწყობაზე. საკურორტო სამმართველო კი აღნიშნულისთვის თითქმის არავითარ ზომებს არ ღებულობდა. ქ. ბორჯომის ალმასკომის განკარგულებაში ყოფილა მხოლოდ ერთი შენობა, სადაც მოთავსებული ყოფილა ალმასკომის თავისი განყოფილებებით.

ამ ზაფხულში ქ. ბორჯომში დაარსებულ იქმნა მოხალისეთა ხანძართ მქრობელი რაზმი.

მომხსენებელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის (ქ. ცხინვალი) დელეგატი ამხ. ი. ჟდანი.

მომხსენებელი აღნიშნავს თუ რაოდენათ დაზარალდა სამხრეთ ოსეთი სამოქალაქო ომიანობის დროს. დღემდე სამხრეთ ოსეთში ცალკე ერთეული კომუნალური განყოფილება არ არსებობდა, არამედ არსებობდა სახალხო-სამეურნეო საბჭო და რომელიც ასრულებდა ფუნქციებს კომუნალურ განყოფილებისას.

განყოფილების განკარგულებაში ყოფილა შემ[illegible]გი წარმოებანი: სახერხავი ქარხანა—ორი ხერ[illegible] და სასწორი. სახერხი ქარხანა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, ამიტომ განზრახული ყოფილა მისი გაფართოება.

ამ მოკლე ხანში განზრახული ყოფილა ქ. ცხინვალში აბანოს აგება, რომლის აშენებისათვის მატერიალურად ეხმარება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

სათანადო ზომები ყოფილა მიღებული ქალაქის გამშვენიერება კეთილ მოწყობაზე. მოწვეული ყოფილა ინჟინერი, რომლისთვის დაუვალებიათ ქალაქის შემოფარგვლა, ვინაიდან ქალაქს თავისი საზღვარი არ ჰქონია და მასვე მინდობილი ჰქონია მისი დაგეგმვა.

სათანადო ყურადღება ჰქონია მიქცეული გზების გაყვანის განზრახული ყოფილა გაიყვანონ გზა ცხინვალ როკომდე, რომლის თანხა უკვე მიუღიათ, მოკავშირე სახელმწიფო რუსეთიდან. სწარმოებს აგრეთვე მდინარე ლიახვის ნაპირების გამაგრება.

განზრახული ყოფილა ჰიდრო ელსადგურის აგება.

საბინაო საქმეს განაგებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და მიწად მოწყობას, როგორც ქალაქში ისე დანარჩენ ადგილებში მიწად მოქმედების კომისარიატი.

ხანძართ მქრობელობა ქალაქში არ არსებობს, თუმცა ქალაქი ძლიერ საშიში ყოფილა. სახლები არიან ერთი მეორისგან ძლიერ ახლო აშენებული.

მომხსენებელი ამხ. ს. ელენტი (ქალაქ ტფილისის).

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქ. ტფილისის კომუნალური მეურნეობის განყოფილება, შეიძლება ითქვას, რომ სათანადო დონეზე სდგას, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთებულა.

განყოფილება ცდილობდა რათა მათ წარმოებებს შემოეტანათ მოგება და ისეთი წარმოებები, რომლებსაც შემოჰქონდათ ზარალი ცდილობდნენ მათ გაქირავებას იჯარით გაცემას. ამრიგათ განყოფილების ექსპლოატაციის ქვეშ იმყოფება შემდეგი წარმოებანი: წყალსადენი, რომელიც ყოფილა თითქმის უვარგისი და ქალაქი იდგა საფრთხეს წინ, ამიტომ მიუღიათ ყოველივე ზომები და მოუხდენიათ სათანადო შეკეთება, როგორც თვით საქმოსნო ნაწილის, ისე ჰიდრო ტეხნიკური სამუშაოები. მტკვრისთვის მიუციათ სხვა მიმდინარეობა, რათა შესაძლებელი იქმნეს მუდმივი მუშაობა, შეძენილი ყოფილა წყლის დასაწმენდი შაბთიხა მთელი წყლის საყოფი.

წყლისადენის შემოსავალი ექვსი თვის განმავლობაში ოქროს მანეთში გამოიხატებოდა 144.402 მან. 55 კაპ. გასავალი კი 138,583 მ. 22 კაპ.

რონარი (ტრამვაი) რომლის სათანადო დონეზე დასაყენებლად ყოფილა მიღებული სათანადო ზომები. გამოშვებული ყოფილა ახალი ორი რონარა, როდესაც დამყარებულა საბჭოთა ხელის უფლება სადგურში ყოფილა მხოლოდ 12 რონარი ახლა კი მათი რიცხვი ყოფილა 46. გაკეთებულა განსაკუთრებული რონარა სასაკლაოდან ხორცის გადმოსატანად. შეკვეთილი ყოფილა სათანადო რიცხვი რონების (რელსები) საზღვარ გარეთ, რომლის მიღება ამ მოკლე ხანში მოხდება.

მომავალ სეზონისათვის გაანგარიშებული ყოფილა რათა მთაწმინდიდან [illegible] (ფუნიკულერიდან) გაყვანილი იქმნას [illegible] (მუშთა სამეფომდე) რონის ხაზი რომელზედაც გაყვანილ იქმნება ნავთმოძრავი რონარო ამის შესახებ სათანადო ზომები უკვე ყოფილა მიღებული.

რონაროს შემოსავალი აქვს. თვის განმავლობაში ოქროთი გამოიხატება შემდეგში 212.859 მან. 21 კაპ. გასავალი კი 185,797 მან. 68 კაპ.

სასაკლაო. შეკეთებულა და დღეს დღეობით შეიძლება ითქვას, რომ თითქმის მთელ ფედერაციაში არ ყოფილა ამ გვარად მოწყობილი სასაკლაო.

მისი შემოსავალი ექვსი თვის განმავლობაში ოქროთი უდრის 5,357 მან. 26 კაპ. გასავალი 42.789 მან. 97 კაპ.

ს. ს. რ. კავშირის სასოფლო სამეურნეო გამოფენა

7. თათართა რესპუბლიკა. უჭირავს ორ სართულიანი შენობა. აფერადებულია თურქესტანი შენობის მსგავსად. არ შეგვიძლია ვსთქვა რაიმე შენობის სტილის სისწორის შესახებ.

პავილიონი ექსპონატებით, შედარებით, ღარიბია, თუმცა ყველა გამოსაფენად აუცილებელი ნივთები შეკრებილია. პირველად ტრადიციული—ეროვნული ტანსაცმელების ნიმუშებია. შემდეგ ჭურჭლეულობისა და ყაზანში გავრცელებული საჭმელების გამოფენაა. სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებას ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. როგორც სჩანს ამ გამოფენიდან ყაზანის (თათართა) რესპუბლიკა რუსულ წიგნებს უფრო მეტსა სცემს რიცხვობრივად, ვიდრე—თათრულს. ეს ფაქტი ცხადი მაჩვენებელია იმ გარემოების, რომ აქ რუსი მკითხველი სჭარბობს.

ცალკე კუთხეში ნაჩვენებია ყაზანის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის გრაფიული ტაბლიცების ნიმუშები, ღირსშესანიშნავი არაფერია. შემდეგ სურათებში მოცემულია მცხოვრებთა ტიპი.

თათართა რესპუბლიკის გამოფენა ვერ იძლევა საკმაო სურათს ამ რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

8. ოირათის ავტონომიური ოლქი. *) ამ ოლქზე, გეოგრაფიიდანაც ძალიან ცოტა ვიცით. არც ისტორია ეხება დაწვრილებით, მაგრამ აღნიშნულ გამოფენაზე მისი მონაწილეობა, უძვირფასესი მასალაა მის გასაცნობად. შენობას „იურტა" ეწოდება, მსგავსი მოხეტიალე ციგანთა კოხების. ცოცხალ ექსპონატებად წარმოდგენილია საშუალო შეძლების მთელი ოჯახი. ოჯახის ყველა წევრთა შემადგენლობით და ოჯახური ავეჯით. აქ ყველაფერი რეალურია, გამოფენის დანიშნულებაც სწორად გაგებული.

9. ხაკასების იურტაც (აღმოსავლეთ ციმბირშია. გ. თ.) ასეთივეა. აქაც მთელი ოჯახი და ეზოა წარმოდგენილი.

ყველა ექსპონატი ძალზე საინტერესოა.

10. ახალი ხანის ოლქი, ყირყიზეთის პავილიონთანაა გამოფენილი. მონაწილეობს ბაზარში. ექსპონატებათ არიან ახალგაზრდა ქალიშვილები, რომლებიც სხედან ქოხში, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილნი და მაყურებლის თვალწინ ასრულებენ სხვა და სხვა საოჯახო საქმეებს.

11. დაღესტნის რესპუბლიკა. ჩვენის აზრით ყველა ცალკე პავილიონებთა შორის, დაღესტნის რესპუბლიკის პავილიონი ყველაზე უფრო გამართლებულია. აქ უსათუოდ არის რეალი სახე დაცული—და შეიძლება უშუალო დაკვირვება დაღესტნელის მოსახლეობაზე. სურათი ასეთია: მაღლობი ადგილი, ხელოვნურად, მაგრამ სინამდვილიდან ძნელად გასარჩევი, სალი კლდე. კლდის კალთაზე ქვის შენობა. უბრალო თიხით და მოწითალო მიწით შელესილი. გზები ჩამოდის კლდიდან ერთი მიმართულებით, ადის მეორეთი. აქვს აგრეთვე სადარბაზო შესავალი დაბლობიდან.

ბრუდე ეზო, შემოღობილია ხის მოაჯირით და ქვის კედლით. შუაში გადმორბის მდინარე კლდიდან. აქვეა წისქვილი. ღობის ახლოს ამოჩქეფს წყარო. იქვე სდგას რამოდენიმე ჭურჭელი. კლდე დახვრეტილია ალაგ-ალაგ. შენობას წნელის მოაჯირი აკრავს. სარკმელი მაღლაა უშნოდ. დახურულია წალმით და სხვა მცენარეულობით. ექსპონატები ყოველ მხრივ უნაკლო გამართლებულია, როგორც ეთნოგრაფიული ისე საზოგადოებრივ-ეკონომიური თვალსაზრისით. დაწვრილებით ვერ შევჩერდებით. დაღესტნის პავილიონი აუწერელ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი სიმარტივით. მე ვფიქრობ პირველი პრიზი დაღესტნის უნდა ყოფილიყო.

12. აფხაზეთი. შენობა აგებულია ტბის მარცხენა ნაპირზე, სამოედების ქოხის მახლობლად. სტილი დაცულია. პავილიონის ეზოში შესვლისათანავე ყურადღებას იპყრობს მცენარეთა სამეფო. მცენარეები ტროპიული და სუბტროპიული. არის წარმოდგენილი საინტერესო ჯიშები: Cocos australis mert და აგრეთვე Bambusa mitus Poir. არიან სხვანიც. სატყეო განყოფილებაში ასეული ჯიშის ხეებია: არის დიოგრამები ტყის გავრცელებისა ჯიშების მიხედვით. დიდი ადგილი უჭირავს ბზას და მის ნაწარმოებთ, რომელნიც ყველასაგან განსაკუთრებულ ყურადღებით სარგებლობენ.

დიდია ეგრეთვე თამბაქოს გამოფენა. არის თამბაქო როგორც საექსპორტო საქონელი. კარგია ღვინის მარანი. აფხაზეთის ღვინოების ყველა ნიმუშის გაცნობა შეიძლება აქვე *). ექსპონატები მრავლადაა დამუშავებული შესაფერისად.

13 სომხეთი. პავილიონის შენობა სრულებით არ ატარებს თანამედროვე სომხის ტიპიური მოსახლეობის იერს. სომხეთის გამოფენის კომიტეტს არ მოუსურვებია საკავშირო გამოფენაზე წარმოედგინა, სომხის ხალხში გავრცელებული შენობის ტიპიური სახე. სომხეთის პავილიონი თავისი გარეგნობით ფუტურისტულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ცხადია ასეთი შენობა ვერავითარ წარმოდგენას ვერ მისცემს მხილველს სომხეთში გავრცელებული მოსახლეობის შესახებ და ამდენადვე შენობის მიზანი მიუღწეველი რჩება. შესავალში მაღლობზე სდგას საღვინე ჭური (ქვევრი) სომხეთი არ არის დიდი მეღვინეობის ქვეყანა და შეიძლებოდა შესავალში ქვევრის მაგივრად სხვა რაიმე სიმბოლიური ექსპონატი გამოეფინათ. მარჯვნით დაწყობილია თიხის ჭურჭელი და ხის სხვა და სხვა იარაღები. კარგია სახელოსნო „Ban" პირველი და „Ban" მეორე. განსაკუთრებული ინტერესის საგნად ხდება სომხეთის ქსოვილები. ყველაზე ლამაზია ტილოზე აბრეშუმით ამოქარგული ლენინის სურათი. ასეთივეა ტროცკის და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეთა სურათები. ცალკეა ხელსაქმის განყოფილება რამდენიმე ექსპონატით, და საქსოვი მანქანები თავისი ნაწარმოების ზოგიერთი ნიმუშებით. ცალკე განყოფილებაში მოთავსებულია სომხეთის სახელმწიფო სარდაფების ღვინოები. ტყავეულობას არ ემჩნევა ინტენსიურობა. რძის ნაწარმოებიდან მოცემულია სხვა და სხვა დამუშავებული პროდუქტი. მცენარეულობის განყოფილება ძალიან ღარიბია. ცხოველთა სამეფოზე ლაპარაკიც ძნელია. თამბაქოს „ზოგიერთი ნიმუშის გამოფენით, შეიძლება სომხეთის თამბაქოს ხარისხის გაცნობა. არის აგრეთვე სატყეო განყოფილება და სასოფლო იარაღები.—საერთოდ პავილიონი დაუმუშავებელია მეცნიერულად. შთაბეჭდილება არაა უნაკლო.

14. აზერბეიჯანი. გარეგნული სახე პავილიონის შენობისა ფერადებშია. მასაც არა აქვს ტიპიური სტილი. ექსპონატების მხრივ პავილიონი ღარიბია. გამოფენილია შემდეგი განყოფილებანი: მიწად-მოქმედების კომისარიატის „კულტურული" მრეწველობის, ცხოველთა მოვლა-მოშენების, მიწის მეურნეობის, მცენარეულობა, სატყეო განყოფილება სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილება (სადაც მხოლოდ რამდენიმე წიგნი და დიოგრამაა გამოფენილი).

ჩვენ ვფიქრობთ აზერბეიჯანის პავილონში მთავარი ადგილი უნდა დაეჭირა ნავთის მრეწველობის განყოფილებას, როგორც სახელმწიფოს სამეურნეო და სამრეწველო საქმეთა მთავარ ნერვს, მაგრამ ამის შესახებ იქ არაფერს შეხვდებით, და ვინც არ იცის რომ „ბაქო" აზერბეიჯანშია, მას პავილონით არ შეუძლია რაიმე გაიგოს აზერბეიჯანის ნავთის წარმოების შესახებ. დაუმუშავებელია აზერბეიჯანის გამოფენაც, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ცხადია ამ მოკლე წერილით არ შეიძლება ყველა რესპუბლიკათა პავილიონების მთელი არსებითი შინაარსის ამოწურვა. ჩვენ აქ მხოლოდ 15 რესპუბლიკას ვეხებით, იმ დროს როცა საკავშირო გამოფენაზე წარმოდგენილ ცალკე რესპუბლიკათა და ოლქების საერთო რიცხვი აქ წარმოდგენილ რაოდენობაზე გაცილებით მეტია.

ჩვენ მხოლოდ მთავარსა და უფრო მნიშვნელოვან პავილიონებზე შევჩერდით.

როგორც თავშივე აღვნიშნეთ შემდეგ წერილში საქართველოს გამოფენაზე მონაწილეობის შესახებ გვექნება საუბარი.

(შემდეგი იქნება)

გ. თავზარაშვილი.

სექტემბრის 16.
მოსკოვი.

---

*) მდებარეობს ირკუტსკის ოლქში.

*) მაგრამ სამწუხაროდ აფხაზეთის ღვინოები გვარიანი ძვირი იყო და ყველა ნიმუში ვერ გავსინჯეთ. რეცენზენტობამ ვერ გვიშველა.

გ. თ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 700 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქ. № 4.